



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, ციცილო ცხვედიანი, ნათია კორკოტაძე, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, მამუკა ნოზაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) **ეკატერინე ცუცქირიძის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს

განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს კვატერინე ცუცქერიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) შორენა მაჩაიძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შორენა მაჩაიძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(გ) გვანცა ჯიშიაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გვანცა ჯიშიაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(დ) გიორგი ხეცურიანის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი ხეცურიანის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ე) თამთა გიგაურის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამთა გიგაურის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ვ) სანდრო მარიამულის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს

2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სანდრო მარიამულის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ზ) ხატია უბირიას განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ხატია უბირიას განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(თ) ვაჟა ჭრელაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019

წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვაჟა ჭრელაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ი) **ლაშა ჭოლაძის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლაშა ჭოლაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(კ) **სოფიო ისაშვილის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიო ისაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ლ) მარიამ მაძლარაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ მაძლარაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(მ) იური მაჭარაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს იური მაჭარაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ თემურ გულიაშვილის, ვლადიმერ აბულაძის, ნათია კაციტაძის, დავით კუჭუხიძის, ვლადიმერ ქუთათელაძის, თაია წიკლაურის, კახა ბერიშვილის, ლეილა ტლაშაძის, მარინე გაიშვილის განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს - თემურ გულიაშვილის, ვლადიმერ აბულაძის, ნათია კაციტაძის, დავით კუჭუხიძის, ვლადიმერ ქუთათელაძის, თაია წიკლაურის, კახა ბერიშვილის, ლეილა ტლაშაძის, მარინე გაიშვილის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ მარინე გაიშვილის, კახაბერ ბერიშვილის, სოფიკო მარიამიძეს, ფატიმა ჩაფიჩაძის, თამთა ჯღარკავას, ანა არგანაშვილის, ნინო კოტიშაძის, ნატო გოგიშვილის, ეთერი გვრიტიშვილის, ლევან კლდიაშვილის, ხატია პაპიძის, რუსუდან გელაშვილის, ლანა ჩერქეზიშვილის, ლილი ტანიაშვილის, თამარ ლალიაშვილის, გოდერძი კაბულაშვილის, ნინო დოღენჯაშვილის, ირაკლი ჭყონიას, მაია ლიპარტელიანის, ელზა ბარამიძეს და კახაბერ ბოხუას განცხადებებს პირადი განცხადების საფუძველზე, წევრობის შეჩერების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. ა(ა)იპ ადვოკატთა სოციალური დახმარების გაცემის წესში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის თავმჯდომარის მამუკა ნოზაძის მიერ წარმოდგენილ სოციალური დახმარების გაცემის წესში შესატანი ცვლილებების პაკეტს, რომლის თანახმად, 2018 წლის 22 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ სოციალური დახმარების გაცემის წესში განმცხადებლის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ჩამონათვალს დამატება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე, სამინისტროს საქვეუწყებო სახელმწიფო დაწესებულებების

(ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) და ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული ცნობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ან სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, პირისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე. ასევე, ფონდის თავმჯდომარემ მამუკა ნოზაძემ განაცხადა, რომ განმცხადებელთა მომართვიანობის წლიური სტატისტიკის და მზარდი დინამიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განმცხადებელთათვის განისაზღვროს მომართვიანობის წლიური ლიმიტი, რაც გააუმჯობესებს ფონდის ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს ფონდის ბიუჯეტის თანასწორ და სამართლიან გადანაწილებას. შესაბამისად, მისი წინადადებაა, სოციალური დახმარების გაცემის წესში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ განმცხადებელს უფლება აქვს სოციალური დახმარების ფონდს დახმარების თაობაზე მომართოს, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ.

წევრებმა განიხილეს ფონდის თავმჯდომარის ინიციატივა ფონდის წესდებებსა და დახმარების გაცემის წესში შესატანი ცვლილებების თაობაზე და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2018 წლის 22 იანვარს დამტკიცებულ ა(ა)იპ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის სოციალური დახმარების გაცემის წესში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

(ა) ფინანსური დახმარების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი წინადადება: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე, სამინისტროს საქვეუწყებო სახელმწიფო დაწესებულებების (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული ცნობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ან სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, პირისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე.

(ბ) სოციალური დახმარების გაცემის წესს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: „განმცხადებელს უფლება აქვს სოციალური დახმარების ფონდს დახმარების თაობაზე მიმართოს, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ“.

საკითხი 5. ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 12 აგვისტოს მომართვის განხილვა ადვოკატ თამარ ჯაფარიძისთვის ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე

წევრები გაეცნენ ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 9 აგვისტოს N 353/19 მომართვას, ეთიკის კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, **თამარ ჯაფარიძის** (სიითი N 4327) მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო „ადასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, **თამარ ჯაფარიძის** (სიითი N 4327) მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე ჩატარდა ფარული კენჭისყრა და კენჭისყრის შედეგით (მომხრე- 7, წინააღმდეგი - 0), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 26-ე მუხლის, მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ეთიკის კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული N 033/17 გადაწყვეტილების საფუძველზე, **თამარ ჯაფარიძეს** (სიითი N 4327) შეუწყდეს ასოციაციის წევრობა და დაევალოს ასოციაციის აპარატს მისი მოქმედი ადვოკატთა ერთიანი სიიდან ამოღება.

საკითხი 6. კომიტეტებში გაწევრიანების საკითხის განხილვა

წევრები გაეცნენ აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების მსურველი პირის ალექსანდრე მეკვიძისა და ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების მსურველ პირის ნინო ამაღლობელის განცხადებებს, თანდართული რეზიუმეებით.

წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადებები და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილებები:

(ა) დაკმაყოფილდეს ალექსანდრე მეკვიძის განცხადება ასოციაციის აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე;

(ბ) დაკმაყოფილდეს ნინო ამაღლობელის განცხადება ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 7. დავით მეზვრიშვილის განცხადების განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე

წევრები გაეცნენ დავით მეზვრიშვილის 2019 წლის 18 ივლისის განცხადებას (თანდართული დოკუმენტებით), რომელიც შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებასა და ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დავით მეზვრიშვილმა 2018 წლის 8 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში სამოქალაქო - ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით და დააგროვა 73 ქულა. მის მიერ გასაჩივრებულ იქნა 5 საგამოცდო ტესტური კითხვა და შედეგად, 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მისი საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოემატა ერთი ქულა.

დავით მეზვრიშვილმა 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება, გასაჩივრებულ საგამოცდო ტესტურ N47 კითხვაზე ქულის მომატებაზე უარის თქმის ნაწილში და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რითაც დავით მეზვრიშვილის გასაჩივრებული საგამოცდო ტესტურ N47 კითხვაზე მოემატება 1 (ერთი) ქულა. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

წევრები ასევე, გაეცნენ **დავით მეზვრიშვილის** განცხადების, იმ ნაწილს რომლითაც იგი ითხოვდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით ასოციაციაში გაწევრიანებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, დავით მეზვრიშვილისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო ტესტურ N47 კითხვაზე ერთი ქულის მომატება მიღებულ უნდა იქნას ცნობად და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს

გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, დავით მეზვრიშვილის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულას უნდა მოემატოს ერთი ქულა.

რაც შეეხება, დავით მეზვრიშვილის მოთხოვნას ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე კანონის ძველი რედაქციის შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს რადგან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით, ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება წარმოადგენდა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების ერთ-ერთ წინაპირობას, სხვა კანონისმიერ წინაპირობებთან ერთად რომელიც მოცემული იყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლში. შესაბამისად ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ავტომატურად არ გულისხმობს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას, თუ არ არსებობს ერთდროულად სხვა წინაპირობებიც და პირის ნება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე, რაც დავით მეზვრიშვილს ადვოკატთა კანონში ცვლილებების ამოქმედებამდე (01.01.2019 წელი) არ გამოუხატავს. ასოციაციაში გაწევრიანება მან 2019 წლის 18 ივლისს მოითხოვა.

ამასთანავე, წევრებმა აღნიშნეს, რომ 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლთაც ადვოკატის სტატუსის მოპოვებისათვის სხვა კრიტერიუმებთან ერთად სავალდებულოა 1-წლიანია ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც შედგება 3 თვიანი თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი).

აღნიშნული დანაწესი ვრცელდება, ყველა პირზე რომელმაც ადვოკატთა ასოციაციას მომართა გაწევრიანების მოთხოვნით 2019 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ. კანონი ადაპტაციის პროგრამის გავლის თვალსაზრისით ითვალისიწნებს მხოლოდ ერთ გამონაკლისს, კერძოდ, პირს, რომელსაც აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლედ ან/და პროკურორად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, მოეთხოვება მხოლოდ ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლა და გათავისუფლებულია 9 თვიანი სტაჟირების ნაწილისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტი).

საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, დავით მეზვრიშვილის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულას მოემატოს 1 ქულა და აუნაზღაურდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი;

(მომხრე: დავით ასათიანი, ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, ციციხო ცხვედიანი, ნათია კორკოტაძე, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა - მამუკა ნოზაძემ)

(ბ) არ დაკმაყოფილდეს დავით მეზვრიშვილის განცხადება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით ასოციაციაში გაწევრიანების ნაწილში, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;

(წინააღმდეგი: დავით ასათიანი, ირაკლი ყანდაშვილი, ციციხო ცხვედიანი, ნათია კორკოტაძე, გიორგი ტურაზაშვილი, მამუკა ნოზაძე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა - გიორგი თევზაძემ და დათუნა მოდებაძემ)

(გ) განმცხადებელს ეცნობოს გადაწყვეტილებისა და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

საკითხი 8. რუნარ გუსეინოვის განცხადების განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისა და გაწევრიანებისთანავე წევრობის შეჩერების თაობაზე.

წევრები გაეცნენ რუნარ გუსეინოვის 2019 წლის 25 ივლისის განცხადებას (თანდართული დოკუმენტებით), რომელიც შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებას, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებასა და გაწევრიანებისთანავე წევრობის შეჩერებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ რუნარ გუსეინოვმა 2018 წლის 2 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში სამოქალაქო - ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით და დააგროვა 72 ქულა. მის მიერ გასაჩივრებულ იქნა 5 საგამოცდო ტესტური კითხვა და შედეგად, 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით მისი საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოემატა ერთი ქულა.

რუნარ გუსეინოვმა 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2018 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა

საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება, გასაჩივრებულ საგამოცდო ტესტურ N48 და N64 კითხვებზე ქულის მომატებაზე უარის თქმის ნაწილში და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რითაც რუნარ გუსეინოვს გასაჩივრებული საგამოცდო ტესტურ N48 და N64 კითხვაზე მოემატება ჯამში 2 (ორი) ქულა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

წევრები ასევე, გაეცნენ რუნარ გუსეინოვის განცხადების იმ ნაწილს, რომლითაც იგი ითხოვდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით ასოციაციაში გაწევრიანებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, რუნარ გუსეინოვისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო ტესტურ N48 და N64 კითხვებზე ჯამში 2 ქულის მომატება მიღებულ უნდა იქნას ცნობად და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რუნარ გუსეინოვის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულას უნდა მოემატოს ორი ქულა.

რაც შეეხება, რუნარ გუსეინოვის მოთხოვნას ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე კანონის ძველი რედაქციის შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს რადგან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით, ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება წარმოადგენდა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების ერთ-ერთ წინაპირობას, სხვა კანონისმიერ წინაპირობებთან ერთად, რომელიც მოცემული იყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლში. შესაბამისად ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ავტომატურად არ გულისხმობს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას, თუ არ არსებობს ერთდროულად სხვა წინაპირობებიც და პირის ნება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე, რაც რუნარ გუსეინოვს “ადვოკატთა კანონში” ცვლილებების ამოქმედებამდე (01.01.2019 წელი) არ გამოუხატავს. ასოციაციაში გაწევრიანება მან 2019 წლის 25 ივლისს მოითხოვა.

ამასთანავე, წევრებმა აღნიშნეს, რომ 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც ადვოკატის სტატუსის მოპოვებისათვის სხვა კრიტერიუმებთან ერთად, სავალდებულოა 1 წლიანია ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც შედგება 3 თვიანი თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი).

აღნიშნული დანაწესი ვრცელდება, ყველა პირზე, რომელმაც ადვოკატთა ასოციაციას მომართა გაწევრიანების მოთხოვნით 2019 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ. კანონი ადაპტაციის პროგრამის გავლის თვალსაზრისით ითვალისწინებს მხოლოდ ერთ გამონაკლისს, კერძოდ,

პირს, რომელსაც აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლედ ან/და პროკურორად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, მოეთხოვება მხოლოდ ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლა და გათავისუფლებულია 9 თვიანი სტაჟირების ნაწილისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტი).

საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რუნარ გუსეინოვის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულას მოემატოს 2 ქულა და აუნაზღაურდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 50 (ორმოცდაათი) ლარი;

(ბ) არ დაკმაყოფილდეს რუნარ გუსეინოვის განცხადება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქციით ასოციაციაში გაწევრიანებისა და გაწევრიანებისთანავე წევრობის შეჩერების ნაწილში, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;

(გ) განმცხადებელს ეცნობოს გადაწყვეტილებისა და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

საკითხი 9. ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატების ლოტბერდ კუპატაძის, ირაკლი ბარძიმაძის და ნუგზარ ჩინჩალაძის გარდაცვალების მოწმობების ასლებს და მიეწოდათ ინფორმაცია, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული ლოტბერდ კუპატაძის, ირაკლი ბარძიმაძის და ნუგზარ ჩინჩალაძის გარდაცვალების ფაქტი და წევრები ამოღებულ იქნან ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.

საკითხი 10. სხვადასხვა

(ა) ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ თამთა დევდარიანის 2019 წლის 9 სექტემბრის განცხადებას, ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციიდან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და განაცხადეს, რომ კომიტეტის დებულების მე-6 მუხლის, 6.4. პუნქტის თანახმად, კომიტეტის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ან/და თავად კომიტეტის თავმჯდომარის თხოვნის საფუძველზე კომიტეტის მუშაობას კოორდინირებას უწევს თანათავმჯდომარე. შესაბამისად, ეთხოვოს ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის მოქმედ თანათავმჯდომარეს - სალომე ბეჟაშვილს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება და თანათავმჯდომარის კანდიდატურის წარმოდგენა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.2. პუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამთა დევდარიანის 2019 წლის 9 სექტემბრის განცხადება, ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

2. ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის დებულების მე-6 მუხლის, 6.4 პუნქტის თანახმად, ეთხოვოს ასოციაციის მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის მოქმედ თანათავმჯდომარეს - სალომე ბეჟაშვილს თავმჯდომარის უფლებამოსილების შესრულება და თანათავმჯდომარის კანდიდატურის წარმოდგენა.

(ბ) ადვოკატ ქეთევან უტიაშვილის 2019 წლის 29 ივლისის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატ ქეთევან უტიაშვილის 2019 წლის 29 ივლისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნავდა, რომ როგორც სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატისათვის, მისთვის შეუძლებელი იყო პენიტენციალურ დაწესებულებაში მყოფ მისი დაცვის ქვეშ მყოფ კლიენტთან კომუნიკაცია და ვიზიტის განხორციელება. შესაბამისად ითხოვდა ასოციაციის მხრიდან შესაბამისი ზომების მიღებას და კანონქვემდებარე აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ასევე, მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით.

აღნიშნულ შემთხვევაში კი იზღუდება როგორც ადვოკატის უფლებები, სრულყოფილად დაიცვას მისი მარწმუნებლის ინტერესები, ასევე, ირღვევა უშუალოდ დაცვის ქვეშ მყოფი პირის, კლიენტის კანონიერი უფლება, დაიცვას საკუთარი უფლებები მისი ნდობით აღჭურვილი ადვოკატის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი თავის მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროებს კონსტრუქციულ და შედეგზე ორიენტირებულ კომუნიკაციას შესაბამის უწყებებთან.

აღნიშნული საკითხი დადგალია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატების მიერ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადვოკატის უფლებების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად შემუშავებულ იქნას კონკრეტული წინადადებები და დაევალოს აპარატს შესაბამისი მიმართვის მომზადება და სათანადო კომუნიკაცია სპეციალური პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობასთან.

(გ) ადვოკატ შალვა მჭედლიშვილის 2019 წლის 1 აგვისტოს განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატ შალვა მჭედლიშვილის 2019 წლის 1-ლი აგვისტოს განცხადებას, 2008-2016 წლებში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და 2004 წელს სამოსამართლო სწავლების ცენტრში გავლილი სპეციალური კურსების საფუძველზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ 2008 წლის 10 მაისს გაცემული სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მან 2008 წლის 9-10 მაისს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე; სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მან 2016 წელს გაიარა სპეციალური მომზადება თემაზე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მათ შორის არასრულწლოვანთა ურთიერთობის მეთოდოლოგია და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები“ და სამოსამართლო ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 2004 წლის 30-31 ოქტომბერს მან გაიარა სპეციალური მომზადების კურსი პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

წევრებმა განაცხადეს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლებით დადგენილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია. აღნიშნული კოდექსის, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი.

აქედან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დღევანდელ სხდომაზე იმსჯელოს შალვა მჭედლიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მას არ აქვს წარმოდგენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს შალვა მჭედლიშვილის 2019 წლის 1 აგვისტოს განცხადება მისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

(დ) ასოციაციის აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა პაპიძისა და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ და განიხილეს ასოციაციის აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა პაპიძის 2019 წლის 9 სექტემბრის განცხადებას, ამავე კომიტეტის 2019 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმს და ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის 2019 წლის 22 ივლისის (რეგისტრაციის N18606), 24 ივლისის (რეგისტრაციის N18627) და 9 აგვისტოს (რეგისტრაციის N18700) განცხადებებს.

ადვოკატთა ასოციაციის აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონულმა კომიტეტმა 2019 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმის თანახმად, აღმასრულებელ საბჭოს განსახილველად გადმოეგზავნა რეგიონული კომიტეტის წევრის ნატო გოგმაჩაძის მიერ ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის დებულების 3.2.5. პუნქტით გათვალისწინებული დანაწესის შესაძლო დარღვევის საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის.

ამასთან, ასოციაციის აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონულმა კომიტეტმა 2019 წლის 9 სექტემბერს დამატებით მომართა ადვოკატთა ასოციაციას, რითიც მოითხოვა კომიტეტის 2019 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმში მითითებული საკითხის რეაგირების გარეშე დატოვება.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ წარმოდგენილ სხდომის ოქმს, მომართვას, ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის განცხადებებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ასოციაციის აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა პაპიძის 2019 წლის 9 სექტემბრის განცხადების თანახმად, აჭარის ადვოკატის უფლებათა დაცვის რეგიონული კომიტეტის 2019 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმში მითითებული საკითხი დარჩეს განუხილველი და მოიხსნას დღის წესრიგიდან.

(ე) ქიშვარდი დიდებულის 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ქიშვარდი დიდებულის 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადებას 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისა და 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე, თანდართული ამონაწერით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტის თანახმად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: **ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ქიშვარდი დიდებულის 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადება 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების ნაწილში.**

(ვ) სალომე ყულიაშვილის 2019 წლის 12 აგვისტოს განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ სალომე ყულიაშვილის განცხადებას 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის და 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე, თანდართული ამონაწერით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: **ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს სალომე ყულიაშვილის 2019 წლის 12 აგვისტოს განცხადება 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების ნაწილში.**

(ზ) ირაკლი ბოლქვაძის 2019 წლის 24 ივლისის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ირაკლი ბოლქვაძის განცხადებას 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. თანდართული ამონაწერით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის ასლით.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირაკლი ბოლქვაძის 2019 წლის 24 ივლისის განცხადება, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(თ) ლიკა ქარჩავას 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ლიკა ქარჩავას განცხადებას 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე, თანდართული ამონაწერით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლიკა ქარჩავას 2019 წლის 10 ივლისის განცხადება, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ი) ანა ხუციშვილის 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ანა ხუციშვილის განცხადებას რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ჯანმრთელობის პრობლემების გამო, გასულ წელს იგი ვერ გამოცხადდა ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე და ითხოვდა გადახდილი გამოცდის

რეგისტრაციის საფასურის საფუძველზე, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა ხუციშვილის 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადება, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(კ) გვანცა თაბუკაშვილის 2019 წლის 3 სექტემბრის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ გვანცა თაბუკაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში, მივლინებაში ყოფნის გამო, 2019 წლის 2 ივნისს იგი ვერ გამოცხადდა ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე და ითხოვდა გადახდილი გამოცდის რეგისტრაციის საფასურის საფუძველზე, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, პირადი განცხადების საფუძველზე, გამოცდის რეგისტრაციის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლოს აპლიკანტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გვანცა თაბუკაშვილის 2019 წლის 3 სექტემბრის განცხადება, 2019 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ლ) თეიმურაზ მეზვრიშვილის 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ თეიმურაზ მეზვრიშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც ვერ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას და ითხოვდა 2019 წლის საწევრო გადასახადის - 200 ლარის ნაცვლად, ნაწილის - 100 ლარის გადახდას.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით. ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად, თეიმურაზ მეზვრიშვილი არ ექვემდებარებოდა საშეღავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არც ერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თეიმურაზ მეზვრიშვილის 2019 წლის 10 სექტემბრის განცხადება, 2019 წლის საწევრო გადასახადის - 200 ლარის ნაცვლად, ნაწილის -100 ლარის გადახდის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე